პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ოქტომბერი
9
აგვისტო
1937 წ.
№ 181 (4982)

პროფორგანოებმა ბოლომდე უნდა აღმოფხვრან პროფკავშირული დემოკრატიის დარღვევანი, განამტკიცონ და გააუმჯობესონ თავიანთი კავშირი მასებთან და კიდევ უფრო მეტად იზრუნონ მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე.

(საქ. კომ. პარტიის (ბ) მე-10 ყრილობის რეზოლუციიდან).

ორგანიზებულად ჩავაჭაროთ პროფკავშირთა კონფერენციები

პროფესიული კავშირების ძირეულ ორგანოთა (ქარხკომების, ფაბკომების, ადგილკომების და სხვ.) არჩევნები საქართველოში ძირითადად უკვე დამთავრდა. შეიძლება ითქვას, რომ პროფკავშირთა ცენტრალურმა გამგეობებმა, პარტიის საშალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა და პირველადმა პარტორგანიზაციებმა, გარდა ზოგიერთი მცირე გამონაკლისისა, უზრუნველჰყვეს ძირეულ პროფესიულ ორგანოთა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიების დამაკმაყოფილებლად ჩატარება.

იქ, სადაც მუშაობა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით სწარმოებდა და პარტიული ხელმძღვანელობა თავის სიმაღლეზე იდგა, პროფკავშირების არჩევნები ტარდებოდა მასების უდიდესი აქტივობით. ფართოდ იყო გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა, მასები დაუნდობლად ამხელდნენ განვლილი მუშაობის ნაკლოვანებებს და საბავდნენ კონკრეტულ ღონისძიებებს მუშაობის გასაუმჯობესებლად.

მაგალითად, თელავის აბრეშუმის ქარხნის მუშებმა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გამომჟღავნეს ტროცკისტ-დივერსანტთა მავნებლური მუშაობა. ამ ქარხანაში, რომელსაც „ხელმძღვანელობდა“ ხალხის მტერი კოპალეიშვილი, მოწყობილი იყო ახალი კონსტრუქციის ძაფშემკერები, მაგრამ მუშებისათვის არავის გაუცხადებია ეს ახალი კონსტრუქცია. ამან გამოიწვია შრომის ნაყოფიერების დაცემა, ხელფასის შემცირება და პროდუქციის ხარისხის გაუარესება. მუშების მრავალგზის მიმართვა მაუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სათავეში მდგომ მავნებელ-დივერსანტებთან სადმე, რა თქმა უნდა, უშედეგოდ რჩებოდა. და აი, მხოლოდ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გახდა შესაძლებელი ამ მავნებლობის გამომჟღავნება და მისი ლიკვიდაცია.

თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკა „კომსომოლკაში“ საარჩევნო კრებაზე გამოაშკარავეს ფაბკომის ყოფ. თავმჯდომარის, კონტრრევოლუციონერ ტროცკისტის მიცკერის მავნებლური მუშაობა.

როგორც მოსალოდნელი იყო, კონტრრევოლუციონერი ტროცკისტები ბევრგან შეეცადნენ საარჩევნო კრებების გამოყენებას, პროფორგანოებში თავიანთი ხალხის გაყვანას და მოწინავე მუშების გაშავებას. მაგალითად, ხონის აბრეშუმის ფაბრიკაში ტროცკისტებმა გააშავეს საუკეთესო სტახანოველი მუშის ამხ. გელენიძის კანდიდატურა. მაგრამ მასების სიფხიზლემ და აქტივობამ შეაძლებელი გახადა ბნელეთის ამ მოციქულთა კონტრრევოლუციური საქმიანობის გამომჟღავნება და მათი ღირსეულად დასჯა.

პროფკავშირული მასების უდიდესი აქტივობის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ, მაგალითად, მტს-ების კავშირის ხაზით საარჩევნო კრებებს დაესწრო მუშა-მოსამსახურეთა 90 პროცენტი, ხოლო კამათში მონაწილეობა მიიღო დამსწრეთა 40 პროცენტმა. ამ კავშირის ძირეულ ორგანოებში არჩეული 72 კაციდან პირველად არის არჩეული 61 კაცი —85 პროცენტი. ეს ფაქტი მოწმობს, რომ მასები მკაცრად აკრიტიკებდნენ და ხელმძღვანელად აღარ ირჩევდნენ პროფორგანოებში ისეთ პირებს, რომლებმაც ვერ გაამართლეს ამომრჩეველთა იმედები, მათ მაგიერ ირჩევდნენ ახალ ადამიანებს, სტახანოველებს, საუკეთესო დამკვრელებს. ასეთივე აქტივობით ჩატარდა არჩევნები აბრეშუმის მრეწველობისა და მძიმე მრეწველობის მშენებელთა კავშირების ძირეულ ორგანოთა უმეტესობაში.

მაგრამ საანგარიშო - საარჩევნო კრებები ყველგან თავის სიმაღლეზე როდი იდგა. ზოგიერთი პროფორგანიზაციის ხელმძღვანელობამ და ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ უზრუნველჰყო კრებების ორგანიზებულად მოწყობა, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლა და არჩევნების ხარისხიანად ჩატარება. მაგალითად, მოუმზადებლობის გამო კრება ჩაშალა ტყვარჩელის სახელმწიფო ელექტროსადგურის მშენებლობაზე და ქუთაისის აზოტმშენში. თქმამის ტუფის მუშაკთა ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. იაშვილმა ვერ უზრუნველჰყო კრების მესახებ წევრებისათვის დროზე შეტყობინება და საარჩევნო კრება ოთჯერ ჩაიშალა. აგუთის ძოუწველეობის მუშათა ქუთაისის ჯგუფკომის არჩევნებს დაესწრო მუშათა ძლოლოდ 30 პროცენტი და კრება მაინც კანონიერად ჩასთვალეს. სამომხმარებლო კოოპერაციის საადგილკომის რაიადგილკომის საარჩევნო კრებას არც კი მოუსმენია ადგილკომის ანგარიში, არც კამათში გაძოსულა ვინმე, კრება პირდაპირ არჩევნებით დაიწყო. რაიადგილკომის თავმჯდომარემ რევაზოძე კი, ზემდგომეი პროფესიულ და პარტიულ ორგანოების მოსატყუებლად, თვითონ შეთითხნა ყალბი ოქმი, რომელშიც შეიტანა ითითქმის მის მიერ გაკეთებული მოხსენება და „კამათში გამოსული ორატორების სიტყვები“. ქუთაისის აზოტმშენის საარჩევნო კრებას ჯერ რეზოლუცია არ ჰქონდა მიღებული მუშაკომის მუშაობაზე, რომ არჩევნებს შეუდგა.

ინსტრუქციის ასე უხეშად დარღვევის ყველა შემთხვევაში კავშირების ცენტრალურმა გამგეობებმა, რასაკვირველია, გააუქმეს არჩევნები და კრებები ხელმეორედ მოიწვიეს, მაგრამ ეს არ კმარა. საარჩევნო ინსტრუქციის უხეშად დარღვევისათვის დამნაშავეებს სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოთ.

პროფორგანოებს ახლანდელი არჩევნები, საბჭოთა დემოკრატიის ახალი მობრუნების პერიოდში, გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენს, რომელმაც მასები უნდა მოამზადოს საბჭოთა ორგანოების ახალი წესით არჩევისათვის. პროფორგანოების არჩევნებში დაშვებული ყოველგვარი დამახინჯება ხელს უშლის საბჭოთა ორგანოების არჩევნებისათვის მასების მომზადებას და ამით წყალს უსხამს მტრის წისქვილს. პროფკავშირების (ენტრალურმა გამგეობებმა და ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა გულდასმით უნდა შეისწავლონ ყოველი ძირეული პროფორგანიზაციის არჩევნების შედეგები და ბოლშევიკურად გამოასწორონ დაშვებული შეცდომები და დამახინჯებანი.

ამ დღეებში დაიწყო და მთელ სექტემბრამდე უნდა დამთავრდეს პროფესიული კავშირთა რესპუბლიკური კონფერენციები, რომლებიც შეაჯამებენ კავშირების განვლილ მუშაობას და აირჩევენ ცენტრალურ გამგეობათა ახალ შემადგენლობებს. განსაკუთრებით დიდია ამ კონფერენციების მნიშვნელობა ახლანდელ მომენტში. საკავშირთაშორისო ორგანოების — პროფკავშირთა საბჭოების გაუქმებით დიდად გაიზარდა დარგობრივი კავშირების როლი. ისინი უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშირდნენ პროფკავშირულ მასებს და უშუალოდ უხელმძღვანელონ მათ.

ხალხის საზიზღარმა მტრებმა, მთავრჯვენე კონტრრევოლუციონერმა ტომსკიმ და მისმა დამჭაშებმა თავიანთი კონტრრევოლუციური საქმიანობით დიდი ზიანი მიაყენეს პროფკავშირებს. პარტიამ და მუშათა კლასმა უკვე ჩამოაშორა ხალხის ეს მტრები პროფკავშირულ მუშაობას. მაგრამ თითოოროლა მათი აგენტი ჯერ კიდევ არის შერჩენილი პროფკავშირების ცენტრალურ ორგანოებში და მეხუთეკლურად ინიღბებიან.

ბოლშევიკური შემტევი სიფხიზლის გამახვილებით, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლით რესპუბლიკურმა კონფერენციებმა უნდა შეისწავლონ ყოველი ძირეული პროფორგანიზაციის არჩევნების შედეგები და ბოლშევიკურად გამოასწორონ დაშვებული შეცდომები და დამახინჯებანი.

ავირჩიოთ პროფკავშირთა ცენტრალურ ორგანოებში მოწინავე, აქტიური მუშაკები, წარმოების სტახანოველები და დამკვრელები, ვინც თავისი პრაქტიკული მუშაობით დაამტკიცა უდიდესი ერთგულება სოციალისტური მშენებლობისადმი, მუშათა კლასისადმი, ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი!

არცერთი უცხო და გადაგვარებული ელემენტი პროფკავშირთა ხელმძღვანელ ორგანოებში!

ჩაის ფოთლის კრეფა

მიწასახკომის 5 აგვისტოს ცნობებით

რაიონები	სულ ფოთლის მოსაკრეფად განკუთვნილი პლანტაციების რიცხვი დეკადებით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით	აგვისტოს გეგმის შესრულება პროცენტებით
მახარაძე	2.754.905	58	7,6
ჩოხატაური	475.160	66	11
ლანჩხუთი	1.458.364	59,8	5,8
სამტრედია	88.942	70	6,5
წულუკიძე	136.240	68,1	9
ქუთაისი	31.457	78,6	—
ტყიბული	188.680	77	10,7
ცხაკაია	401.422	68	14,4
გეგეჭკორი	518.700	65,7	—
ზუგდიდი	958.042	58,1	7
წალენჯიხა	414.810	66,9	6,8
ჩხოროწყუ	318.852	63,8	5,1
ხობი	106.235	62,5	5,4
აჭარის ასსრ	2.126.814	58,9	10,9
აქედან ბათუმის რ.	321.117	60,6	8,8
„ ქობულეთის რ.	1.653.943	58	11,5
„ აჭარის საბ. მ. ტრესტი	151.752	66	5,8
აფხაზეთის ასსრ	1.114.843	61,6	5
აქედან გალის რ.	764.547	65,9	5,8
„ ოჩამჩირის რ.	350.296	53,9	4,7
სულ	11.033.416	60,2	7,7

ქუთაისის და გეგეჭკორის რაიონების ცნობები 1 აგვისტოსია.

მდგომარეობა ესპანეთში

მღელვარება მეამბოხეთა ჯარებში

პარიზი, 6 აგვისტო (საქდესი). გაზეთ „ევრის“ გიბრალტარელი კორესპონდენტი იუწყება, რომ მეამბოხეთა ჯარებში მღელვარებაა. ხატარა ქალაქ სალობრენის გარნიზონი ცდილობდა დახმარებოდა მუშებს, რომელნიც გაფიცულნი იყვნენ მოტრილში და რომლებმაც დაიკავეს შაჭრის ქარხნის შენობა. მეამბოხეებმა სასწრაფოდ გაგზავნეს მალაგიდან მოტრილში ძლიერი დამხმარე ძალები. როდესაც მალაგაში დარჩენილმა ჯარისკაცებმა ეს გაიგეს, აჯანყდნენ და დახოცეს მრავალი ოფიცერი. მალაგის მუშებმა მხარი დაუჭირეს აჯანყებულ ჯარისკაცებს და ერიონში მიიტანეს მეამბოხეთა შტაბზე, სადაც იმყოფებოდა მალაგის სამხედრო გუბერნატორი. რამდენიმე საათის განმავლობაში შტაბს აჯანყებულთა ალყა ჰქონდა შემორტყმული.

შტაბს მიეშველენ მეამბოხეთა თვითმფრინავები. მათ ყუმბარები დაუშინეს იმ მუშებს, რომლებსაც ალყა ჰქონდათ შემორტყმული შტაბისათვის, და აიძულეს ისინი მოეხსნათ ალყა. დახვრეტილია მეამბოხეთა 3 ათასზე მეტი ჯარისკაცი, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ აჯანყებაში.

„ლუმანიტე“ დეპეშაში გიბრალტარიდან ალნიშნავს, რომ მალაგაში თითქმის ყოველ ღამე სწარმოებს ჯარისკაცთა დიდი კონტიგენტების გადმოსხმა. ამ ჯარისკაცებს დაუყოვნებლივ გზავნიან. ავტომობილებით მოტრილში. ჩასული ჯარისკაცთა უმეტესობას იტალიელები შეადგენენ.

მალაგაში ცხოვრება აუტანელი გახდა. მზის ჩასვლის შემდეგ არცერთ მცხოვრებს არ აქვს უფლება გამოვიდეს ქუჩაში. ყოველ ღამე სროლა ისმის. მთებში დამალულ პარტიზანები ჩამოდიან ქალაქში და იერიში მიაქვთ მეამბოხეთა გუშაგებზე.

ესპანეთის თავდაცვის სამინისტრო იუწყება, რომ 4 აგვისტოს ღამით მდინარე ტახოს ქვემოთ მდებარე სექტორში, მეამბოხეთა დაბანაკების ადგილას, ისმოდა ძლიერი აფეთქებები, რომელთაც თან სდევდა ინტენსიური თოფის სროლა. აფეთქებისა და სროლის მიზეზის გამორკვევა არ მოხერხდა.

ჰავასის სააგენტო მადრიდიდან იუწყება, რომ უნივერსიტეტის უბანში, ფრანგული ხიდის რაიონში, მდინარე მანსანარესის ნაპირზე გაცხარებული სროლა მოისმოდა მეამბოხეთა ბანაკიდან.

მეამბოხეთა ჯარიდან გამოქცეულნი იუწყებიან, რომ უნივერსიტეტის უბანში მღელვარებაა, ვინაიდან მეამბოხეთა მრავალ ჯარისკაცს სურს გადმოვიდეს რესპუბლიკელთა მხარეზე.

მეამბოხეთა არმიიდან რესპუბლიკელებისაკენ

ვალენსია, 7 აგვისტო (საქდესი). სანტანდერში რესპუბლიკური არმიის რაზმში შევიდა მეამბოხეთა ბანაკიდან გამოქცეული 72 კაცი. რომლებმაც ითხოვეს დაუყოვნებლივ გაგზავნონ ისინი ფრონტზე.

გრძელდება მღელვარება ესპანელ მეამბოხეთა შორის

პარიზი, 7 აგვისტო (საქდესი). გრძელდება მღელვარება ესპანელ მეამბოხეთა შორის. ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობებით, ტოლედოში მოხდა შეტაკებანი მეამბოხეებს შორის. მოწინავე პოზიციებზე მყოფ რესპუბლიკელ მეომრებს გარკვევით ესმოდათ ქალაქიდან თოფებისა და ყუმბარმფრქვევების სროლა.

ფაშისტი პირაჯები ყუმბარებს უშენენ ინგლისისა და საფრანგეთის გემებს

ლონდონი, 7 აგვისტო (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის გემს „ბრიტიშ კორპორალს“ 6 აგვისტოს ხმელთაშუა ზღვაში ყუმბარები დაუშინეს მონობლანებიდან. გადმოჰყარეს 40 ყუმბარა. არცერთი მათგანი არ მოხვდა გემს, მაგრამ შეჩყეფის შედეგად დაზიანდა გემის რადიოდანადგარი. კომანდას უნდოდა ჩაეშვა ნავები, მაგრამ თვითმფრინავებმა, დაუშვნენ რა დაბლა, ტყვიამფრქვევები დაუშინეს მათ. კომანდიდან არავინ დაჭრილა.

„ბრიტიშ კორპორალი“ ნავთსასმელი გემია, რომელიც ბენზინის სრული ტვირთით მიდის აბადანიდან (სპარსეთის ყურე) ინგლისში.

ლონდონში მიღებულია ინგლისის გენერალური კონსულის მოხსენება ალჟირიდან, რომელშიც აღნიშნავს, რომ გამოსაცნობი ნიშნების მიხედვით, სამი თვითმფრინავი, რომლებიც თავს დაესხნენ გემს, ესპანელ მეამბოხეთა მხარეზე იბრძვის. დღეს ინგლისის ადმირალი—კრეისერების მესამე რაზმის სარდალი გადამწყვეტ პროტესტს განუცხადებს პალმის ხელისუფალთ—მაიორკის კუნძულზე, სადაც მეამბოხეთა ბაზაა.

არსებული ცნობებით, ინგლისის გემ „ბრიტიშ კორპორალს“ გარდა, იმავე რაიონში ყუმბარები დაუშინეს თვითმფრინავებიდან საფრანგეთის გემ „ჯებელ ამურს“. ლონდონის ოფიციალურ წრეებში მეტად სერიოზულად უყურებენ ამ ინციდენტს.

უცხოეთის ქრონიკა

◆ ჩეხოსლოვაკიის წითელ პროფკავშირთა ცენტრალურმა ხელმძღვანელობამ მოითხოვნით მიმართა მთავრობას გააუქმოს ფაშვილის ფაშის გადიდება და მთელ სახელმწიფოში შემოიღოს 40-საათიანი სამუშაო კვირა.

◆ საბჭოთა ხრულუფლებიანი წარმომადგენლობის წევრებმა, ირანის ხელისუფლების ორგანოებმა კარძალეს გერმანიის წარმოების ანტისაბჭოთა ფილმის — „მოსკოვი-შანხაის“ დემონსტრაცია.

◆ ინგლისის ხელისუფლების ორგანოებმა წინადადება მისცეს ლონდონში მყოფ სამ გერმანელ ჟურნალისტს დასტოვონ ინგლისი. აღნიშნავენ, რომ ამ ჟურნალისტებს შეიძინეს ბრალდებათ.

◆ ჩეხოსლოვაკიური გაზეთი „დერ მეტალარბეიტერი“ ბეჭდავს ტურინიდან მიღებულ ცნობას, რომელშიაც აღნიშნულია ნეფლეულის ნაკლებობა ფაშისტურ იტალიაში. სამუშაოები შეჩერებულია უველა შენებლობაზე, სადაც რკინას იყენებენ. მთავრობის დადგენილებით, რკინის უველა მარაგი მეზარმეებმა უნდა გადასცენ სამხედრო მრეწველობის განკარგულებაში. იტალიის სხვა ქალაქებიდან იუწყებიან, რომ დაიხურა მთელი რიგი საკონსერვო ქარხნები, რომლებსაც არა აქვთ თუნუქი ქილებისათვის. ლიპება დასაკონსერვებლად დამზადებული ათასობით ტონა ბოსტნეული.

ესპანეთში იზოლიელთა საზღვაო და საავიაციო ბაზების შექმნის გეგმა

პარიზი, სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, იტალიის მთავრობამ უკვე შეიმუშავა ესპანეთში იტალიელთა საზღვაო და საავიაციო ბაზების შექმნის დაწვრილებითი გეგმა. ამასთან რომში დარწმუნებული არიან, რომ ლონდონმა ვადამწყვეტი წინააღმდეგობაც რომ გაუწიოს ესპანეთის ტერიტორიის ნაწილის, როგორიცაა ბალეარის კუნძულები, აშკარა გადასვლას იტალიის ხელში, მაშინაც ვერაფერი შეუშლის ხელს იტალიას, ოფიციალური სტატუს-ქვოს დაცვისას, შეუთანხმდეს ფრანკოს იმგვარად, რომ იტალიას ესპანეთში ფაქტიურად ეჭიროს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ბაზები. ეს ბაზები და დასაყრდენი პუნქტები, იტალიის გენერალური შტაბის რწმენით, გადაჭრით შეცვლიან ხმელთაშუა ზღვაზე სტრატეგიულ მდგომარეობას.

იუწყებიან, რომ იტალიის გენერალური შტაბი ამასწინათ დასთანხმდა გენერალ ფრანკოსთვის გაეგზავნათ იტალიის ნაწილები, ამასთან სწორედ ამ საზღვაო და საავიაციო ბაზების კომპლექტაციის იმედით. რომელიც რომს საეჭვოებით რეალურად მიაჩნია (საქდესი).

შესდგა კომუნისტურ და სოციალისტურ პარტიებს შორის კავშირურთიერთობის სრულიად-ესპანეთის კომიტეტის პირველი სხდომა

ვალენსია, 6 აგვისტო (საქდესი). გუშინ შესდგა კომუნისტურ და სოციალისტურ პარტიებს შორის კავშირურთიერთობის სრულიად ესპანეთის კომიტეტის პირველი სხდომა. კომპარტიის წარმომადგენლებად იყვნენ ამხ. ხოზე დიასი, დოლორეს იბარური (პასიონარია), ჩეკა, ხიორლა, დელიკადო და მიხე, სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებად —გონსალეს პენია, ლამონედა, ვიდარტე და კორდერე.

უინსტონ ჩერჩილი მუსოლინის ანტიბრიტანული პოლიტიკის შესახებ

ლონდონი, 7 აგვისტო (საქდესი). უინსტონ ჩერჩილი „ივნინგ სტანდარტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში კომენტარიებს უკეთებს ჩეხბერლენისა და მუსოლინის წერილებს, რომლებიც მათ ერთმანეთს გაუგზავნეს. ჩერჩილის სიტყვით, ეს ფაქტი განხილულ უნდა იქნას იდეის კატეგორიულ განცხადებათა თვალსაზრისით, რომ ესპანეთის და მისი კოლონიების ტერიტორიულ მთლიანობას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ინგლისისათვის. ჩერჩილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სეუტასა და ალჟეცირასში დადგმული ზარბაზნები ემუქრებიან გიბრალტარს და რომ იტალიის სიმაგრეები პანტელარიას კუნძულზე მიმართულია მხოლოდგამხოლოდ ინგლისის წინააღმდეგ. ჩერჩილი ავრეთვე აღნიშნავს, რომ იტალიამ ძლიერ გაამაგრა როდეკანეზის კუნძულები და მაყაუას ნავსადგური მეწყობილ ზღვაზე, რომ იგი პრეტენზიებს აცხადებს მეწყობილი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროს მიმართ, ჰყავს უდიდესი არმია ლივიაში და დაუღალავ ანტიბრიტანულ პროპაგანდას ეწევა. ახლო აღმოსავლეთში. ინგლისმა, სწერს ჩერჩილი, კატეგორიულად უნდა გააცხადოს, რომ იგი ვერ შეითმენს ხმელთაშუა ზღვაზე მიმოსვლის თავისუფლების შებღალვას და გამოაყოველივე ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც კი ამას შეეცდება.

საბჭოთა კავშირში

ფრანგი სტუმრები გაემგზავრნენ ლენინგრადში

მოსკოვი, 7 აგვისტო (საქდესი). 7 აგვისტოს ნაშუადღევს მოსკოვიდან ჩქარი მატარებლით ლენინგრადში გაემგზავრა სსრ კავშირის მეგობართა საფრანგეთის საზოგადოების წევრების ჯგუფი. მოსკოვში გატარებული 4 დღის განმავლობაში 83 ფრანგმა სტუმარმა დაათვალიერა დედაქალაქის მთელი რიგი საწარმოები და დაწესებულებანი მილიონობით მოსახლეობის დაათვალიერეს კაგანოვიჩის სახელობის ბურთობმაკისარის ქარხანა. რკინიგზელები გაეცნენ გაზეთ „გუდოკის“ სტამბის მუშაობას და რკინიგზელთა დასასვენებელ სახლს, რომელიც მოსკოვის მახლობლად მდებარეობს, მათ დაათვალიერეს გზათა სახალხო კომისარიატის საავადმყოფო, ყაზანის ვაგზალი, დედა და ბავშვის ოთახი. მშენებლებმა დაათვალიერეს მუდმივი საამშენებლო გამოფენა. პედაგოგებმა დაათვალიერეს „პრავდის“ სახელობის ბავშვთა ბანაკი. ჯგუფის ოცდახუთი წევრი გაემგზავრა რამენსკის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში. რამდენიმე კაცმა დაათვალიერა მოსკოვ-ვოლგის არხი.

სტუმრებმა აგრეთვე დაათვალიერეს რევოლუციის მუზეუმი, გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი. 7 აგვისტოს საფრანგეთში სსრ კავშირის მეგობართა საზოგადოების წევრთა დიდი ნაწილი მიიღო პროფინტერნის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლოზოვსკიმ. მეტალურგი მუშები მიღებულ იქნენ მეტალურგთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტში.

ფრანგ სტუმრებს განზრახვა აქვთ ლენინგრადში დარჩნენ 4 დღეს.

თვითმფრინავებით გადაიყვანენ 10.000 ცხვარს

აშხაბადი, 7 აგვისტო. („პრავდის“ კორესპონდენტი). მიმდინარე წლის პირველ ნახევარში თურქმენეთის სამოქალაქო საჰაერო ფლოტმა გადაიყვანა 23.721 მგზავრი. გაიდა ამისა, ადგილობრივ ავიაციას თავთოდ აყენებენ ფოსტის, გოგირდის, ხილის, ბოსტნეულის, გალანტერიისა და სხვა ტვირთის გადასაზიდად ყარა-ყუმის დასახლებულ პუნქტებში.

6 აგვისტოდან აეროფლოტის მძიმე თვითმფრინავები შეუდგნენ საბჭოთა მეურნეობების პირუტყვის გადაყვანას აშხაბადიდან ტაშაუზის ოლქში. სულ გადაყვანილი იქნება 10 ათასზე მეტი ცხვარი ტაშაუზის კოლმეურნეობათათვის. პირუტყვის ჰაერით გადაყვანა გაცილებით უფრო იაფი და მოხერხებულია, ვიდრე სახმელეთო გზით, რომელიც ძოითხოვს დიდ ხარჯებს პირუტყვის კვებისა და დაცვის მხრივ, და იწვევს დიდ დანაკარგებს. აშხაბადიდან ტაშაუზამდე 550 კილომეტრის მანძილს თვითმფრინავი ფარავს ორსახეევარსამ საათში. პირუტყვის ჰაერით გადაყვანას მოუნდება ერთნახევარი-ორი თვე (საქდესი).

ახალი ხარისხის ფანქრები

მოსკოვი, 7 აგვისტო (საქდესი). მოსკოვის კრასინის სახელობის ფანქრის ფაბრიკამ დაიწყო სხვადასხვა ფერის ათი ფანქრისაგან შემდგარი კომპლექტების დამზადება, რომლებიც მოთავსებულია მხატვრულად გაფორმებულ ნახატებიან კოლოფებში. ამ კომპლექტების გამოშვება მოხდება ოქტომბრის მე-20 წლისთავისთვის. მიმდინარე წლის ნოემბრამდე გასაყიდად გამოშვებული იქნება ფანქრების 300 ათასი კომპლექტი.

ამას გარდა, ფაბრიკა შეუდგა ანალი სახის ფანქრების მასობრივ წარმოებას. ყოველთვიურად იგი გამოუშვებს „ნეგროს“ ტიპის 500 ათას ფანქარს რეტუშირებისათვის. პირველად დაიწყო გრაფიტის ფანქრების წარმოება, ფანქარს არა აქვს ხე და იგი შეღებილია მხოლოდ ლაქით. დაიწყო ფერადი წვრილი ფანქრების დამზადება; მათი დიამეტრი უდრის 6,8 და 5 მილიმეტრს. ფაბრიკა თვეში გამოუშვებს 4 მილიონ ცალ ასეთ ფანქარს.

ნავთი ბუგურუსლანში

კუიბიშევი, 7 აგვისტო (საქდესი). ბუგურუსლანის ნავთის ამასწინათ აღმოჩენილი საბადოს № 1 ჭაბურღილი იძლევა 10—12 ტონა წუნდა ნავთს დღე-ღამეში. ექსპლოატაციის ათი დღის განმავლობაში უკვე ამოღებულია ას ტონაზე მეტი ნავთი, მოკლე ხანში ჭაბურღილიდან ნავთს ამოქაჩავენ ღრმა ტუმბოთი.

უახლოეს დღეებში დაიწყება № 2 ჭაბურღილის ბურღვა პირველი ჭაბურღილიდან რამდენიმე ათეული მეტრის მანძილზე.

თბილისის კამოს სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხნის სტახანოველი ბ. რატი ამხ. ვ. ფიცხელაური ნორმას 280 პროცენტით ასრულებს.

ხურათზე: ამხ. ფიცხელაური თავის დაზგასთან.

ფოტო რიშკოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმში

მოსკოვი, 8 აგვისტო (საქდესი). გუშინ, 7 აგვისტოს, ამხ. მ. ი. **კალინინის** თავმჯდომარეობით, შედგა სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმმა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან ერთად მიიღო დადგენილება: სასოფლო სამეურნეო დანიშნულების დებულების შეცვლის შესახებ, ჩამდინარე გაუწმენდავი წყლის ჩაშვებისათვის საწარმოებისგან საფასურის გადახდევინების შესახებ, გადასახირებელი და უბრალო თამასუქების დებულების ძალაში შესვლის შესახებ და სხვ.

ამავე სხდომაზე ამხ. მ. ი. კალინინმა ლენინის ორდენი გადასცა სსრ კავშირის პროკურორს ამხ. ა. ი. ვიშინსკის, რომელიც დაჯილდოებულია რევოლუციური კანონიერებისა და პროკურატურის ორგანოების განმტკიცების საქმეში წარმატებული მუშაობისათვის.

ამხ. ვიშინსკიმ, მიმართა რა ცაკის პრეზიდიუმს, სთქვა:

— მე დიდი პატივი დამდეს პარტიამ და მთავრობამ. მე საბჭოთა კავშირის უმაღლოს ჯილდოს ვღებულობ არა მხოლოდ როგორც რევოლუციური კანონიერების განმტკიცების საქმეში ჩემი პირადი მუშაობისადმი ნორმის გამოხატულებას, არამედ როგორც მთელი ჩვენი საბჭოთა პროკურატურის მუშაობისადმი ნდობის გამოხატულებას.

ამხ. ვიშინსკი აცხადებს, რომ პროკურატურის მუშაკები შემდეგშიც მთელი თავისა ენერგიითა და ენტუზიაზმით შესწირავენ ძალღონეს სოციალიზმის საქმეს, მის გამარჯვებას ლენინ-სტალინის დიადი პარტიის დროშის ქვეშ, დაუნდობლად ებრძოლებენ იაპონია-გერმანიის ფაშიზმის აგენტების წინააღმდეგ, ყველა მტრის წინააღმდეგ, რომელსაც დღილობენ საზიზღარი ხელი აღმართონ დიადი საბჭოთა კავშირის მონაპოვართა წინააღმდეგ.

ამხ. ვიშინსკის შემდეგ თავმჯდომარე ამხ. კალინინთან მიდის უფროსი ლეიტენანტი ჭ. ვ. იუდინი, რომელიც დაჯილდოებულია სსრ კავშირის თავდაცვის ძლიერების განმტკიცების საქმეში მთავრობის სპეციალურ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამ საქმეში გამოჩენილ გმირობისათვის. ამხ. იუდინს გადაეცა სიგელი საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ და ორდენები.

შემდეგ საბჭოთა კავშირის ორდენებს იღებენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის ახალგაზრდა მეთაურები. უმცროს მეთაურებს, ლეიტენანტებს, უფროს ლეიტენანტებს, სამხედრო ტექნიკოსებს, სამხედრო ინჟინრებს—ყველა მათ მიეცათ მაღალი ჯილდოები მუშურ-გლეხური წითელი არმიის შენაერთთა, ნაწილთა და დანაყოფთა საბრძოლო, პოლიტიკურ და ტექნიკურ მომზადებაში განსაკუთრებული წარმატებებისათვის. დამსწრენი გულთბილად ეგებებიან სამშობლოს სახელოვან მეომრებს.

წითელი არმიის მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ჯგუფის სახელით გამოდის პოლიტხელი ამხ. ზუევი. იგი ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის მაღალ ჯილდოზე, რაც იმას მოწმობს თუ როგორ აფასებს სოციალიზმის ქვეყანა თავის ადამიანებს, როგორ აფასებს მათს მუშაობას.

— ჩვენ პარტიისა და მთავრობის პირველ მოწოდებისთანავე შევასრულებთ ყოველ საბრძოლო დავალებას, როგორც ეს საბჭოთა მოქალაქეს ეკადრება!—დაამთავრა სიტყვა ამხ. ზუევმა მქუხარე ტაშის გრიალში.

შემდეგ ჯილდოებს ღებულობს მოსკოვ-ვოლგის არხის მშენებელთა დიდი ჯგუფი. ორდენები გადაეცათ ინჟინრებს, ცალკეულ ნაგებობათა უფროსებს, ქარხანა „ბორეცის“ მუშაკებს, რომლებმაც არხს მისცეს შესანიშნავი სამანქანო მოწყობილობა, არქიტექტორებსა და სხვ. დაჯილდოებულთ შორის არიან ხლებნიკოვის რაიონის კალატოზი ამხ. მილიკოვი, ცოცხების საბჭოს წევრი ამხ. ბარანოვი, მცენარეთა რაზმის მსროლელი ამხ. ბოეევი, ექსკავატორის მემანქანე ამხ. ზადოროჟკო. მოკლე სიტყვით გამოსულნი ამხ. მურავიოვი აცხადებს, რომ მოსკოვ-ვოლგის არხის მშენებელნი მზად არიან გაიმგზავრონ ახალი ჰიდროტექნიკური მშენებლობაზე.

დამსწრენი მხურვალე ტაშით ეგებებიან წითელარმიელ ივანე ტრუნოვს, რომელიც დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების დაცვის დროს გამოჩენილი სამამაცისა და გმირობისათვის. თავის სამშობლოს შორეულ საზღვარზე, ავღანისტანის მოსაზღვრე მიჯნაზე, მარტო მან, მამაცმა მეომარმა შეიპყრა 30 ბასმაჩისგან შემდგარი ბანდის თავდასხმა, ვიდრე დამხმარე ძალები მიეშველებოდნენ და ბანდიტებს მოსპობდნენ.

ამავე სხდომაზე ორდენები მიიღეს სასაზღვრო რაზმის საგუშაგოს უფროსმა ამხ. სუჩკოვმა, სეედანსკის წყალსადენის მშენებლობის მუშამ ხრიჩევმა, კიბორჩხალის მჭერ გემ „კორიაკის“ კაპიტნის თანაშემწემ პოლიტიკურ ნაწილში ამხ. ლებედევმა და სხვ.

ორდენების გადაცემის შემდეგ ამხ. კალინინმა

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

მოსკოვი, 7 აგვისტო (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ სსრ კავშირში ა. წ. 21 ივლისს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. ლიტვინოვს გააცნო განცხადება, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ბ. ხელლმა გაუკეთა პრესას ა. წ. 16 ივლისს და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დავალებით, სთხოვა ამხ. ლიტვინოვს ეცნობებია მისთვის, თუ როგორ უყურებს იგი მოხსენებულ განცხადებაში აღნიშნულ პრინციპებს.

ბ. ხელლის განცხადებაში ნათქვამია:

„მე არაერთგზის მიმიღია შეკითხვები და წინადადებანი, რომელნიც გამომდინარეობდნენ იქიდან, რომ მდგომარეობა მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში შერყეულია. უდავოა, რომ მთელ რიგ მხარეებში ადგილი აქვს დაძაბულობასა და შეხლა-შემოხლას, რაც ზერელე შეხედვით ეხება მხოლოდ ყველაზე უფრო ახლოს მდებარე მეზობელ ქვეყნებს, მაგრამ რაც სამოლოოდ ახალი ზანზის გარდუვალად შეეხება მთელ მსოფლიოს. ყოველგვარი მდგომარეობა, რომლის დროსაც ხდება ან შესაძლოა მოხდეს მტრული შეტაკებანი, წარმოადგენს ისეთ მდგომარეობას, რომელიც ეხება ან შეიძლება სერიოზულად შეეხოს ყველა ერის უფლებებსა და ინტერესებს. სერიოზული მტრული მოქმედება, სადაც უნდა იყოს მსოფლიოში, არ შეიძლება არ შეეხოს ამათუმ გზით ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, უფლებებს ან ვალდებულებებს. ამიტომ მე საჭიროდ ვთვლი—სინამდვილეში ეს ამას ჩემს მოვალეობად ვთვლი—გავაკეთო განცხადება იმის თაობაზე, თუ რა პოზიცია უკავია ჩემს მთავრობას საერთაშორისო მდგომარეობისა და იმ პრობლემების, მიმართ, რომლებითაც ჩვენი ქვეყანა ღრმად დაინტერესებულად სთვლის თავს.

ჩვენი ქვეყანა მუდამ და თანმიმდევრობით იცავს მშვიდობიანობის შენარჩუნებას. ჩვენ მხარს ვუჭერთ ნაციონალურ და საერთაშორისო თვითშეზღუდვას. ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა ერის თავშეკავებას ძალის გამოყენებისაგან პოლიტიკის გატარებაში და სხვა ერების შინაურ საქმეებში ჩარევისაგან. ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა პრობლემის მოგვარებას საერთაშორისო ურთიერთობაში მშვიდობიან მოლაპარაკებათა და შეთანხმებათა გზით, ჩვენ მხარს ვუჭერთ საერთაშორისო შეთანხმებათა კეთილსინდისიერად დაცვას. ვუჭერთ რა მხარს ხელშეკრულებათა სიწმინდის პრინციპს, ჩვენ გვწამს ხელშეკრულებათა პირობების შეცვლა, როდესაც ეს საჭირო ხდება, კანონზომიერი პროცესის გზით, რაც ხორციელდება ურთიერთი მზადყოფნით ხელი შეუწყონ და შეეგუონ გარემოებებს. ჩვენ გვწამს, რომ ყველა ერი პატივს სცემს სხვათა უფლებებს და ყველა ერი ასრულებს დაწესებულ ვალდებულებებს, ჩვენ მხარს ვუჭერთ საერთაშორისო სამართლის გამოკოცხლებასა და განმტკიცებას. ჩვენ მხარს ვუჭერთ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიურ უშიშროებას და მშვიდობიანობის სტაბილობას. ჩვენ მხარს ვუჭერთ უზომო ბარიერების შემცირებას ან გაუქმებას საერთაშორისო ვაჭრობაში. ჩვენ ვცდილობთ მიღწეულ იქნას სავაჭრო შესაძლებლობათა ეფექტიური თანასწორობა, და ჩვენ დაჟინებით მივმართავთ ყველა ერს წინადადებით გამოიყენონ მსჯელობის თანასწორობის პრინციპი. ჩვენ გვწამს შეიარაღების შეზღუდვა და შემცირება. გვესმის რა, რომ აუცილებელია შეიარაღებულ ძალთა შენარჩუნება იმ დონეზე, რომელიც ნაციონალურ უშიშროებას შეესაბამება, ჩვენ მზად ვართ შევამციროთ ან გავადიდოთ ჩვენი საკუთარი შეიარაღებული ძალები სხვა ქვეყნების მიერ განხორციელებულ შემცირების ან გადიდების პროპორციულად. ჩვენ თავს ვარიდებთ კავშირების შეკვრას ან დამაკავშირებელ ვალდებულებებს, მაგრამ ჩვენ გვწამს შეერთებული ძალღონით მოქმედება, მშვიდობიანი და პრაქტიკული საშუალებებით განხორციელებული, ამ განცხადებაში აღნიშნულ პრინციპების დასაცავად“.

ა. წ. 23 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ეცნობა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. ლიტვინოვს შემდეგი პასუხი:

„ბ-ნი ლიტვინოვი ითხოვს გადაეცეს მისი მადლობა ბ-ნ ხელლს იმისათვის, რომ მას თავაზიანად ეცნობა ბ. ხელლის მიერ პრესისათვის გაკეთებული განცხადება, რომლის მნიშვნელობაც არ რჩება მას უყურადღებოდ. ის მით უფრო მეტი ინტერესით გაეცნო ბ. ხელლის განცხადებას, რომ ეს განცხადება ემთხვევა საბჭოთა მთავრობის საერთო პოზიციას ამ განცხადებით აღძრულ საკითხებში. ეჭვი არ არის, რომ დაძაბულობა, კონფლიქტები და შეხლა-შემოხლა საერთაშორისო ურთიერთობაში, მით უფრო მტრულ შეტაკებათა მუქარა, თუ თავდაპირველად ისინი შეეხება მხოლოდ ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს, შემდეგში შეიძლება შეეხოს ყველა ერის უფლებებსა და ინტერესებს. ამ დებულებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა მშვიდობიანობის განუყოფლობისა და კოლექტიური უშიშროების პრინციპებში, რომლებიც ბ. ლიტვინოვმა წამოაყენა ერთა ლიგაში.

ბ-ნი ლიტვინოვი იზიარებს სხვა დებულებებსაც, რაც ბ. ხელლის განცხადებაშია და რაც ემთხვევა იმ პრინციპებს, რომელთა არა მარტო პროპაგანდას ეწევა საბჭოთა მთავრობა, არამედ რომლებსაც ფაქტიურადაც ატარებს თავის საგარეო პოლიტიკაში, როგორიცაა, მაგალითად, ყველა ერის თავშეკავება ძალის გამოყენებისაგან თავისი საგარეო პოლიტიკის გატარებაში და სხვა ერების შინაური საქმეებში ჩარევისაგან, საერთაშორისო პრობლემების მოგვარება მხოლოდ მხოლოდ სამშვიდობო მოლაპარაკებათა და შეთანხმებათა გზით, საერთაშორისო შეთანხმებათა კეთილსინდისიერად დაცვა, ხელშეკრულებათა პირობების შეცვლა მხოლოდ დაიმტკიცებულ ბუნებრივი მხარეთა ნებაყოფლობითი შეთანხმებით, ყველა ერის თანაბარუფლებრივობა, შეიარაღების შემცირება და სხვ. კერძოდ საბჭოთა მთავრობამ ჯერ კიდევ ათი წლის წინათ წარა დგინა ყენენაში სრული საყოველთაო განიარაღების, აგრეთვე შეიარაღების ნაწილობრივი შემცირების პროექტი. შემდეგ, საბჭოთა მთავრობა ყენენაშივე გამოვიდა წინადადებით მოწყობილიყო მშვიდობიანობის პერმანენტული კონფერენცია, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნებოდა გამოვლინებულიყო, საჭირო შემთხვევებში, ის საერთო მოქმედება, რაზედაც ლაპარაკია ბ. ხელლის განცხადებაში. პრაქტიკულად, ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა, ალსავსე საყოველთაო მშვიდობიანობისათვის შექმნილი საფრთხეებით, რომლებიც მოულოდნელად ხორციელდება ხან ერთ და ხან მეორე კონტინენტზე, ბ. ლიტვინოვის აზრით, მოითხოვს უაღრესად ენერგიულ წინააღმდეგობას ყველა ერის მხრით. ამ წინააღმდეგობამ, ერთა ლიგის აქტივიზაციასთან ერთად, შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმა, როგორც, მაგალითად, ურთიერთდახმარების რეგიონალური ხელშეკრულებებისა და სხვა შეთანხმებებისა. ამ ფორმათა შორის ბ. ლიტვინოვი არამცირე მნიშვნელობას აძლევს მშვიდობიანობის შენარჩუნების იდეის გულწრფელად ერთგულ ყველა ერის მხრით სოლიდარობისა და მშვიდობიანობისადმი მისწრაფების ერთდროულ და პერიოდულ მანიფესტაციას. ბ-ნი ლიტვინოვი სიტყვას იძლევა, რომ საბჭოთა მთავრობა მუდამ მზად იქნება მონაწილეობა მიიღოს ასეთ მანიფესტაციებში და შეიტანოს თავისი წვლილი საერთაშორისო დამშვიდების საერთო საქმეში“.

ჩინეთის ამბები

იაპონიის ჯარების კონცენტრაცია ჩრდილო-ჩინეთში

ნანკინი, 6 აგვისტო (საქდესი). 4 აგვისტოს იაპონიის თვითმფრინავებმა უმმბარები დაუშინეს დეჩჟოუს. იმავე დღეს იაპონიის ჯარების რაზმმა იერიში მიიტანა ძინხაიზე, მაგრამ მოგერიებულ იქნა ჩინეთის ჯარების მიერ.

სენტრალ ნიუსის სააგენტოს ცნობებით, იაპონიის ჯარების რაოდენობა განუწყვეტლივ მატულობს ხოდილო-ჩინეთში.

ამჟამად ბეიპინ-ტიანძინის რაიონში თავმოყრილია დაახლოებით იაპონიის 40 ათასი ჯარი. შენიშნულია ავიაციის დიდი აქტივობა. იაპონიის თვითმფრინავები ყოველდღე ახდენენ გაფრენებს რკინიგზის გასწვრივ და ხებეის, ჩახარისა და შანდუნის პროვინციების უმნიშვნელოვანეს ქალაქებზე.

ჩინეთის სამხედრო წრეების ცნობებით, იაპონიის არმიის მე-6 დივიზიამ გენერალ-ლეიტენანტ ტანის სარდლობით, იაპონიის 70 ათასმა ჯარისკაცმა და 60 ათასმა ახალ წვეულება მიიღეს მობილიზაციის ბრძანება. მექანიზებული და ცხენოსანთა ნაწილები (12 ათასი კაცი) ივ ზავნებიან ჩრდილო-ჩინეთში.

ივლისის შუა რიცხვებში ტიან ძინში ჩავიდნენ იაპონიის საჰაერო თავდაცვის კორპუსის ნაწილები (2 ათასი კაცი). ამ უკანასკნელ დღეებში შანხაიში ჩავიდა 172 სამხედრო ავტომანქანა, მათ შორის 30 მძიმე ჯავშნიანი მანქანა.

„სინვენბაოს“ ცნობით, 4 აგვისტოს იაპონიის 8 საკანონერო ხავი ჩავიდა მაცზეკოუში, დუნძიანის მდინარეზე, გაუხდუნის პროვინციაში.

ლონდონი, 7 აგვისტო (საქდესი). რეიტერის სააგენტოს სიტყვით, უცხოელთა ავტორიტეტული წყაროებით დასტურდება, რომ ტიანძინში უკანასკნელი დღეების განმავლობაში ჩავიდა 10-დან 15 ათასამდე იაპონელი ჯარისკაცი, რამაც იაპონია ჯარების რიცხვი ჩრდილო-ჩინეთში აიყვანა 45 ათას კაცამდე.

ჩინეთის ჯარების ნარმავებული პარტიზანული ბრძოლები

ნანკინი, 6 აგვისტო (საქდესი). გაზეთი „პეკინ ენდ ტიანძინ ტაიმსი“ აღნიშნავს დიდ წარმატებას, რომელსაც ჩინეთის ჯარებმა თავდაპირველად მიაღწიეს ტიანძინში და მის ახლო-მახლო რაიონებში მომხდარი ბრძოლების დროს. ბეიპინ-შანხაიგუანის რკინიგზის გასწვრივ ჩინელების მიერ დაწყებული პარტიზანული ბრძოლა მოულოდნელი გამოდგა იაპონიის სარდლობისათვის და ხელი შეუწყო ჩინელთა ჯარების წარმატებას ტიანძინში. ტიანძინში იაპონიის ჯარების ნაწილები ერთმანეთისაგან სავსებით მოწყვეტილი და იზოლირებული იყვნენ. იაპონელთა მთელი რიგი პოზიციები ხელთ იგდეს ჩინელებმა. 29 ივლისს საღამოთი ჩინეთის ჯარებმა ისეთ წარმატებებს მიაღწიეს, რომ იაპონელთა მდგომარეობა ფრიად კრიტიკული შეიქნა და მათ არავითარი რეზერვი არ დარჩათ.

გაზეთი შემდეგ აღნიშნავს, რომ იაპონიის ჯარების რამდენიმე ასეული კაცისგან შემდგარმა ჯგუფმა, რომლებს შორის იყო 50-ზე მეტი დაჭრილი, 29 ივლისს საღამოთი ამკარად პანიკურად უკან დაიხია აღმოსავლეთ ვაგზლის რაიონიდან იაპონიის კონცესიაზე, მაშინ როდესაც ჩინეთის თვითეულ ჯარისკაცს ჰქონდა მტრისგან წართმეული ორი—სამ-სამი შაშხანა.

ნანკინის ევაკუაცია

ნანკინი, 6 აგვისტო (საქდესი). უკანასკნელ სამ დღეს ნანკინის მოსახლეობა შეშფოთებულია იმით, რომ გამოქვეყნდა განკარგულება სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა ოჯახების ევაკუაციის შესახებ. სამხედრო ხელისუფლების ორგანოებმა გადასწყვიტეს უახლოეს მომავალში მოახდინონ ქალების, ბავშვებისა და მოხუცების ევაკუაცია. ქალაქში დარჩება მხოლოდ 200 ათასი კაცი. (ამჟამად ნანკინის მოსახლეობა აღწევს 1 მილიონ კაცს). ამ გადაწყვეტილებას იმით ასაბუთებენ, რომ მოსალოდნელია ნანკინის ბომბარდირება იაპონიის თვითმფრინავების მიერ, აგრეთვე ასაბუთებენ სურსათის ნაკლებობით. შეშფოთებას აორკეცებს პოლიციის განკარგულება იმის შესახებ, რომ სახლების ყველა სახურავი ხელახლა შეიღებოს.

ყველა ავტობუსი ხელახლა შეიღება მფარავ ფერად. მატარებლები და გემები საგნაო ქალაქიდან წასული ხელხით. მთავრობის დაწესებულებათა არქივები და უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები გატანილია.

საავტომობილო მრეწველობის მუშათა გაუფიცვა დეტროიტში

ნიუ-იორკი, 7 აგვისტო (საქდესი). დეტროიტის საავტომობილო ქარხანა „პლიმუტში“ გაიფიცა 11 ათასი მუშა. გაფიცულები მოითხოვენ იმ პროფკავშირის დათხოვნილ წევრთა მიღებას სამუშაოზე, რომელიც საწარმოო პროფკავშირთა კომიტეტს ემხრობა.

იაპონიის ჯარების დანაკლისი

ტოკიო, 5 აგვისტო, (საქდესი). საჰაერო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ იაპონიის ჯარებს ჩრდილო ჩინეთში სამხედრო მოქმედების დაწყებიდან 3 აგვისტოს შუადღემდე მოუკლეს 364 კაცი, მათ რიცხვში 24 ოფიცერი, და დაუჭრეს 869 კაცი, მათ შორის 59 ოფიცერი.

ქვედა ჯალაბამ დაამჯობინა ბიუჯეტი ჩრდილო-ჩინეთის „ინციდენტის“ გამო

ტოკიო, 7 აგვისტო (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ ქვედა პალატის საბიუჯეტო კომისიამ დაამტკიცა მეორე დამატებითი ბიუჯეტი ჩრდილო ჩინეთის „ინციდენტის“ გამო 419 მილიონი ჩენის რაოდენობით.

ჩინეთის ელჩმა ინახულა ხელლი

ვაშინგტონი, 7 აგვისტო (საქდესი). ჩინეთის ელჩმა ვან ჩენ-ტინმა ინახულა სახელმწიფო მდივანი ხელლი. ვან ჩენ-ტინი ესაუბრა ხელლს შორეულ-აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ.

ჩან კაი-შის გერმანელი მრჩევლების გაძევება

ლონდონი, 7 აგვისტო (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, ჩან კაი-შის გერმანელი სამხედრო მრჩევლები, შესაძლოა, მალე გადადგნენ. სააგენტოს სიტყვით, მათ ეშინიათ, რომ ჩან კაი-შისთან სამსახური შეიძლება განხილულ იქნას, როგორც არაკეთილმეგობრული აქტი იაპონიის მიმართ.

აფეთქება სანკინგბერგის ქარხანაში

ბერლინი, 7 აგვისტო (საქდესი). სანკტ-ინგბერტის (საარის ოლქი) ფეთქებად ნივთიერებათა ქარხანაში მოხდა აფეთქება. კატასტროფას, რომლის სიძლიერეზე გერმანიის პრესა სდუმს, დიდძალი მსხვერპლი მოჰყვა.

ჰალეში დიდი ხანძარი გაუჩნდა ადგილობრივ ქიმიურ ქარხანას. პრესა არ აქვეყნებს აგრეთვე არავითარ დაწვრილებითს ცნობას ხანძრის სიძლიერეზე.

გერმანიის პრესის ცნობებით, გერმანიის სოფლებში ხანძრები ყოველწლიურად იწვევენ საშუალოდ 280 მილიონი მარკის ზარალს.

ფაშისტი ინტერვენტები ფრანკოს ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შეთანხმებას

ლონდონი, 7 აგვისტო (საქდესი). 6 აგვისტოს შესდგა ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარესთან არსებული ქვეკომისიის სხდომა. ეს სხდომა გადაიქცა ახალ აქტად იმ სამარცხვინო კომედიისა, რომელსაც წარმოადგენს კომიტეტის მთელი ისტორია. დღის წესრიგში იდგა ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის კონტროლის დაწესების ინგლისური გეგმის საკითხი, რომლის განხილვა ქვეკომისიის წინა სხდომაზე 30 ივლისს სრულიად უშედეგო აღმოჩნდა იმის გამო, რომ ფაშისტურმა სახელმწიფოებმა არ მოისურვეს დათანხმებულიყვნენ „მოხალისეთა“ ნამდვილ ევაკუაციაზე ესპანეთიდან.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ამხ. მაისკიმ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა მტკიცედ მომხრეა ნამდვილი ჩაურევლობისა. ამხ. მაისკიმ კვლავ აღნიშნა, რომ ამჟამად ცენტრალურ როლს ასრულებს ესპანეთიდან ეგრეთწოდებულ „მოხალისეთა“ ევაკუაციის საკითხი. სსრ კავშირის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი საკმაოდ ნათელია: იგი მხარს უჭერს ყველა იმ უცხოელის დაუყოვნებლივ გაყვანას ესპანეთიდან, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საომარ მოქმედებებში. ინგლისის, საფრანგეთისა და მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების დამოკიდებულება ამავე საკითხისადმი არავითარ ეჭვს არ იწვევს.

მაგრამ სულ სხვანაირი მდგომარეობაა იტალიის, გერმანიისა და პორტუგალიის მხრივ. ამ სახელმწიფოთა პასუხს ინგლისის გეგმაზე, და აგრეთვე 30 ივლისს ქვეკომისიის სხდომაზე გამართულ კამათს, შეუძლიათ გამოიწვიონ უდიდესი ეჭვები აღნიშნული მთავრობების მზად ყოფნაში მხარი დაუჭირონ მოხალისეთა ევაკუაციის საკითხის განხილვა და დროებით შესწყვიტონ საერთაშორისო კომიტეტის მუშაობა.

ლონდონი, 7 აგვისტო (საქდესი). გერმანიის, იტალიისა და პორტუგალიის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს გასცენ პირდაპირი გარკვეული პასუხი ამხ. მაისკის კითხვას, შეეცადნენ რა თავი დაეხწიათ ბრიკებით, ორაზროვანი სიტყვებით და დუმილით. ფაშისტური ქვეყნების წარმომადგენლებს, რომლებსაც დანაშაულზე წაასწრეს, არაფერი ჰქონდათ სათქმელი.

ამხ. მაისკიმ თავის მეორე გამოსვლაში, შეაჯამა რა შექმნილი მდგომარეობის შედეგი, განაცხადა, რომ „გერმანიის, იტალიისა და პორტუგალიის წარმომადგენლების საქციელი თავისთავად საკმაოდ მჭერმეტყველი პასუხია“.

ფაშისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ამის საწინააღმდეგოდ არა უთქვამთ რა, რითაც მათ იკისრეს პასუხისმგებლობა ჩაურევლობის კომიტეტის მუშაობის ჩიხში ჩაყენებისათვის და ჩაურევლობის შესაძლებელი ჩაშლისათვის.

ვიწრო აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ლონდონის კომიტეტის თავმჯდომარის ლორდ პლიმუტის წინადადებით, გადაწყდა განუსაზღვრელ დროისათვის გადასდონ მოხალისეთა ევაკუაციის საკითხის განხილვა და დროებით შესწყვიტონ საერთაშორისო კომიტეტის მუშაობა.

გმირულად დაღუპული გრიგორ მიჩურინის ადგილს მწყობრში დაიკავებს მისი ძმა

საბჭოთა კავშირის მარშალის ამხ. ბლიუხერის მიწერ-მოწერა კოლმეურნეობა „ნოვი ტრუდთან“

ხაბაროვსკი, 7 აგვისტო (საქდესი). საბრძოლო პოსტზე, საბჭოთა კავშირის საზღვრების დაცვის დროს მამაცურად დაიღუპა კუთაისელის ოლქის არტელ „ნოვი ტრუდის“ ყოფილი კოლმეურნე გრიგოლ მიჩურინი. შორეულ - აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმიის სარდალმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხ. ბლიუხერმა სოფ. გალაცინოში, სადაც იმყოფება კოლმეურნეობა „ნოვი ტრუდი“, დეპეშით გაგზავნა ცნობა სამშობლოს სახელოვანი შვილის სიკვდილის შესახებ და გადაგზავნა 700 მანეთი პეტრე ანდრიას-ძე მიჩურინისათვის ჩასაბარებლად.

ამ დღეებში მარშალმა გალაცინოდან შემდეგი წერილი მიიღო:

„ჩვენ, არტელ „ნოვი ტრუდის“ კოლმეურნეებმა მოვისმინეთ თქვენი ცნობა იმის შესახებ, რომ ჩვენი კოლმეურნეობის წევრი შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმიის მეომარი გრიგოლ პეტრეს-ძე მიჩურინი გმირულად დაიღუპა საბრძოლო პოსტზე საზღვრების დაცვის დროს და სიტყვას გაძლევთ, რომ პარტიისა და მთავრობის პირველი დაძახებისთანავე ერთი კაცივით დავდგებით ჩვენი დიადი სამშობლოს დასაცავად და გამანადგურებელ წინააღმდეგობას გავუწევთ ფაშისტებს, რომელნიც ცდილობენ თავს დაესხან საბჭოთა კავშირს. გთხოვთ მხარი დაუჭიროთ დაღუპული ძმის ვასილ მიჩურინის და მისი თანასოფლელი გრიგოლ ლუკიანოვისა და ვასილ რევინის შუამდგომლობას, რათა ვადმდე ჩარიცხონ ისინი შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმიის რიგებში იმ ნაწილში, სადაც მსახურობდა გრიგოლ მიჩურინი.

ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას სანამუშოდ ავიღოთ უხვი მოსავალი, ვადაზე ადრე შევასრულოთ ჩვენი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე, ყოველნაირად დავეხმაროთ წითელარმიელთა ოჯახებს.

მოტანილს დავალებით საპენოვი. ჩერნოვი, კუზმა მიჩურინი.

საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხ. ბლიუხერმა არტელ „ნოვი ტრუდის“ კოლმეურნეებს საპასუხო დეპეშა გაუგზავნა:

„ძვირფასო ამხანაგებო კოლმეურნეებო და კოლმეურნე-ქალებო! დღეს შორეულ - აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმია დღესასწაულობს თავისი არსებობის 8 წლისთავს და მხურვალე წითელარმიულ სალამს გითვლის თქვენ, ჩვენი სამშობლოს პატრიოტებს, რომელთაც აღზარდეთ ისეთი საუცხოო შვილები, როგორიც იყო გმირულად დაღუპული გრიგოლ მიჩურინი.

შორეულ - აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმია სიყვარულით მიიღებს თავის რიგებში ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს გმირულად დაღუპული მშვენიერი და მამაცი შვილის ამხანაგ მიჩურინის ძმასა და თანასოფლელებს.

გისურვებთ წარმატებას თქვენს შრომაში სოციალისტურ მინდვრებზე, უხვი მოსავლის სასწრაფოდ და მაღალხარისხოვნად აღებას.

შორეულ - აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმიის ჯარების სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი:

ბლიუხერი“.

მოსკოვის გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიური თეატრის წარმატება პარიზში

პარიზი, 7 აგვისტო (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან). (საქდესი). გუშინ ელისეს მინდვრების თეატრში, რომელიც ხალხით იყო გაჭედილი, სსრ კავშირის მოსკოვის გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიურმა ლენინის ორდენოსანმა თეატრმა პირველი წარმოდგენა გამართა პარიზში. დაიდგა გორკის პიესა „მტრები“. წარმოდგენას დაესწრნენ პოლიტიკური მოღვაწეები და დიპლომატები, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, აგრეთვე საბჭოთა კოლონია სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. სურიცის მეთაურობით.

მთავარ როლებს წარმოდგენაში ასრულებდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები კნიპერ-ჩეხოვა, ტარასოვა, კახალოვი, ხმელოვი. პირველი აქტის დამთავრების შემდეგ დარბაზში გაისმა მჭიხარე ტაში. საზოგადოება დაჟინებით იწვევდა მსახიობებს. საპირო შეიქნა იმის გამოცხადება, რომ მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობები აპლოდისმენტებზე გამოდიან მხოლოდ წარმოდგენის დამთავრების შემდეგ. როდესაც ფარდა უკანასკნელად დაეშვა, საზოგადოებამ მჭიხარე ოვაცია გაუმართა შემსრულებელთა.

15-20 წუთის განმავლობაში მაყურებლები ფიცხე ამდგარნი უკრავდნენ ტაშს საბჭოთა თეატრალური ხელოვნების უნიჭიერეს წარმომადგენლებს. მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობები უდიდესი აღფრთოვანებით თამაშობდნენ. წარმოდგენამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა პარიზელ მაყურებლებზე. ეს იყო ჩვენი ქვეყნის მოწინავე თეატრის ტრიუმფი.

(„იზვესტია“)

მასობრივი პოლიტიკური მუშაობა სოფლად

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის უდიდეს წარმატებებს თან სდევს მასების პოლიტიკური აქტიურობის გიგანტური ზრდა. ეს ზრდა საკოლმეურნეო სოფელშიაც ხდება.

კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალს დღეს აინტერესებთ უაღრესად სხვადასხვამხრივი საკითხები: პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის საკითხები და მაღრიდის თავდაცვა, მოსავლის აღება და ჩინეთის ბრძოლა იაპონელ დამპყრობელთა წინააღმდეგ, მეზობელი კომბაინერის რეკორდი და წითელარმიელ ტურნოვის სავმირო საქმე შორეულ საზღვარზე. თითქმის არ არის კულტურის, ეკონომიკისა და პოლიტიკის ისეთი დარგი, რომელიც არ აინტერესებდეთ კოლმეურნესა და კოლმეურნე ქალს.

მაგრამ უაღრესად უხვში შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რაკი ადგილი აქვს ზოფლის დიდ კულტურულ ზრდას, მაშასადამე. უკვე არ წარმოადგენს განსაკუთრებულ საჭიროებას თავი შევიწუხოთ ყოველდღიური მასობრივ - პოლიტიკური მუშაობისათვის და იგი შეიძლება უკანა რიგში მოვაქციოთ.

ჩვენი დიდი ქამშობლოს მთელი მრავალფეროვანი ცხოვრება, ამბები, რომლებიც მის საზღვრებს გაღმა ხდება. ყოველდღე იძლევიან ნაირ-ნაირ ნათელ ფაქტებსა და მაგალითებს, რომლებზედაც არა მარტო შეიძლება, არამედ საჭიროცაა ვასწაულოთ მასებს პარტიის პოლიტიკის გაგება, ჩავუნერგოთ სოციალიზმის მტრების სიძულვილი და მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ძმური სოლიდარობის გრძნობები.

დავარწმუნოთ მასები, მოვახდინოთ მათ შორის პარტიის იდეის პოპულარიზაცია, ავამაღლოთ მასების პოლიტიკური და კულტურული დონე, გავაღვიძოთ მათი პოლიტიკური და საწარმოო აქტიურობა, ვასწაულოთ სიფხიზლე და ჩავუნერგოთ უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი — აი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ამოცანა—პასუხსაგები და სამატიო ამოცანა.

ბოლშევიკური მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ძირითადი თვისება—ეს არის მებრძოლი პარტიულობა, უნარი შეეხო ყველაზე მთავარს, არსებითს, იმას, რითაც ცხოვრობენ და სუნთქავენ მასები, იმას, რაც ახლანდელ მომენტში პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია. განა მასებში ჰომუშავებთ და აგიტატორთა მუშაობისათვის საუცხოო მასალას არ წარმოადგენს ის მეტად უხვი მოსავალი, რომელსაც წელს ღიბულობენ ქვეყნის ყველა რაიონში? განა საჭირო არ არის გაიშალოს ნამდვილი მასობრივი პოლიტიკური მუშაობა შემოსავლის განაწილების გარშემო, რომელიც ახლა იწყება? ბოლშევიკი-აგიტატორი ამ ფაქტებს იყენებს იმისათვის, რომ გვიჩვენოს სოციალიზმის წარმატებანი ჩვენს ქვეყანაში, იმისათვის, რომ გვიჩვენოს პარტიისა და პირადად ამხანაგ სტალინის ზრუნვა კოლმეურნე მასების შეძლებულ ცხოვრებაზე. ცოტა რიდი აყვნენ წინა წლებში „აგიტატორებია“, შენიღბული მტრები, რომლებიც არწმუნებდნენ კოლმეურნეებს უკანონოდ და წინააღმდეგ წესდებისა გაეღოთ მიღებული შემოსავლის დიდი ნაწილი მშენებლობისათვის, განუყოფელ ფონდებში და ა. შ. და მოიპოვებოდნენ პარტიული ხელმძღვანელები, რომლებიც თავის აქტივში იწერდნენ იმას, რომ კოლმეურნეები ხელს იღებდნენ თავისი შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილზე. ასეთ პრაქტიკას არაფერი აქვს საერთო პარტიის ბაზთან. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განუხრელად განხორციელებასთან ერთად, მივცეთ კოლმეურნეს საშუალება რაც შეიძლება სრულად ისარგებლოს საკოლმეურნეო წყობილების ნაყოფით, ვგრძნობინოთ მას მთელი ძალა კოლმეურნეობებისა, რომლებსაც მოაქვთ გლეხობისათვის პროდუქტების სიუხვე, შეძლებული და კულტურული ცხოვრება. ეს უნდა შეიგნონ და დაიხსომონ ბოლშევიკ-აგიტატორებმა, მასებში მოშუშავეებმა.

მრავალგვარია მასობრივ - პოლიტიკური მუშაობის ფორმები და შეთოდები. ახლა, როდესაც კოლმეურნეთა უმრავლესობა ყანაშია, როდესაც ადამიანები მცირე რგოლებად გაფანტული არიან მინდვრის სხვადასხვა სამუშაოებზე, პირველ რიგში დგება ძირეული აგიტატორების — წამკითხველთა და მოსაუბრეთა მუშაობა. თუ ვიანგარიშებთ, რომ თვითეულ საკოლმეურნეო ბრიგადაში არის მხოლოდ თითო ასეთი წამკითხველი ან მოსაუბრე, მაშინაც კი ამ ადამიანთა არმია მიაღწევს მრგვალ ციფრს — ერთ მილიონ კაცს. ამ მილიონიან არმიას სასწაულების მოხდენა შეუძლია. მაგრამ პარტიული კომიტეტები ხშირად ივიწყებენ თავის პირდაპირ მოვალეობას — უხელმძღვანელონ და წართონ ამ შესანიშნავი არმიის მოქმედება.

თავმინებებული წამკითხველები და მოსაუბრეები ვეღარ ასრულებენ თავის ამოცანას. ამ მხრივ დამახასიათებელია უკრაინის სს რესპუბლიკის ვოლხოვეცკის რაიონი. რაიკომმა დაამტკიცა 200 წამკითხველი და მოსაუბრე კოლმეურნეობებში. მაგრამ დამტკიცება რა ძირეულ აგიტატორთა სია, რაიკომმა არ მოაწყო მათთან ნამდვილი მუშაობა.

სრულიად არ არის სწორი თითქოს წამკითხველად და მოსაუბრედ შეიძლება იყოს ყველა, უბრალო წერაკითხვის მცოდნე ადამიანი. კადრების ასეთ შერჩევას შეუძლია გამოიწვიოს აგიტატორთა რიგების დანაგვიანება უცხო და მტრული ადამიანებით. რაიკომები ვალდებული არიან წამკითხველებისა და მოსაუბრეების სამუშაოზე შეარჩიონ აბსოლუტურად შემოწმებული კომუნისტები, კომკავშირელები, პატიოსანი უპარტიო კოლმეურნეები და კოლმეურნე - ქალები, რომელნიც პარტიის საქმის ბოლომდე ერთგულნი არიან და რომელთაც შესწევთ უნარი შეეტანონ მასებში სტალინური სიტყვა.

აქა-იქ ამ პარტიული პრინციპის სცვლიან ობივატელური მოსაზრებით. ვაჭრობისა და სოფლის სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარის ან საბავშვო ბაგების ამხრის პოსტი, რომ უკუყმანონ ჩაგრიცხონ წამკითხველად და მოსაუბრედ ბრიგადაში. შემდეგ კი ირკვევა, რომ ეს ადამიანები

კომკავშირის რაიონული კონფერენციები

ლენინის რაიონი

7 აგვისტოს პლენუმების საზეიმო კლუბში გაიხსნა საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის მე-19 კომკავშირული კონფერენცია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქ. კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. ცხოვრებაშვილმა, საქართველოს ალკკ ც. კ-ის მდივანმა ამხ. მგელაძემ და საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. გუდავაძემ.

კონფერენციამ მხურვალე ტაშის გრიალით აირჩია საპატიო პრეზიდიუმში ამხანაგი სტალინი, მოლოტოვი, კალინინი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, მიკოიანი, ჟდანოვი, ეუოვი, ჩუბარი, კოსიორი, ბერია, კოსარევი, ანდრეევი, დიმიტროვი, ტელმანი და ხოზე დიასი.

საქმიანი პრეზიდიუმის, სამანდატო კომისიის და სამდივნოს არჩევის შემდეგ დელეგატებმა მოისმინეს კომკავშირის რაიკომის მდივნის ამხ. კეზერაშვილის საანგარიშო მოხსენება.

26 კომისრის სახ. რაიონი

შირველ აგვისტოს გაიხსნა საქ. ა.ლ.კ.კ. 26 კომისრის რაიონის მე-23 კონფერენცია, რომლის მუშაობაც 5 დღეს გაგრძელდა.

კონფერენცია გახსნა ალკკ რაიკომის მდივანმა ამხ. ვარტაზაროვმა. საქმიან პრეზიდიუმში აირჩიეს საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანი ამხ. მგელაძე, ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. გუდავაძე, 26 კომისრის პარტრაიკომის მდივანი ამხ. გიორგობიანი და სხვ., სულ 15 კაცი. კონფერენციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის შემდეგ მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. ვარტაზაროვი. ვარტაზაროვის მოხსენებაში გაშლილი თვითკრიტიკა არ იყო მოცემული.

რაიკომის საანგარიშო მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღო 30 კაცმა. მოკამათეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ რაიკომის ძველმა ხელმძღვანელობამ ჩაშალა კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობა, ვერც ახალმა ხელმძღვანელობამ უზრუნველჰყო კომკავშირის მუშაობის არსებითად გარდაქმნა.

ალკკ რაიკომის წევრი, პიონერთა განყოფილების გამგე ამხ. მურადიანი კამათში გამოვიდა ნამდვილი ბოლშევიკური თვითკრიტიკით. მან აღნიშნა, რომ რაიონში პიონერთა მუშაობა სუსტია. პიონერ-განყოფილებას არ ეხმარებოდა 26 კომისრის რაისაბჭო და ალკკ თბილისის კომიტეტი. რაიკომის ცალკეული წევრები სრულ უმოქმედობას იჩენდნენ. მაგალითად, ამხ. აივაზოვი რაიკომის პლენუმის არცერთ სხდომას არ დასწრებია. ამხ. მაღრაძე მუდამ დაგვიანებით ცხადდებოდა რაიკომის პლენუმის სხდომებზე. არ სწარმოებდა მუშაობა კომკავშირის რაიონულ აქტივთან. რაიკომი სუსტად ხელმძღვანელობდა კომკავშირის ძირეულ ორგანიზაციებს.

ამხ. მარჯანიშვილი (ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკიდან) აღნიშნავს: „ჩვენს ორგანიზაციაში 300-ზე მეტი კომკავშირელია, აგრეთვე ფაბრიკაში ბევრი უპარტიო ახალგაზრდა მუშაობს. საჭირო იყო კომკავშირის რაიკომს ჩვენთვის მეტი ყურადღება მოექცია. კომკავშირის მთელ რიგ ორგანიზაციებში ჩაშლილია პოლიტსწავლება. ჭიანურდება განხილვა რაიკომში შეტანილი განცხადებებისა პარტიაში გადასარიცხავ კომკავშირელთათვის რეკომენდაციის მიცემის შესახებ“.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ქირვალიძე (მტს), მაღრაძე (რკინიგზა), ალპეროვიჩი (ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკა), ასათიანი (წითელი არმია) და სხვ. კონფერენციამ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და მიიღო პრაქტიკული ღონისძიება კომკავშირულ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და კლასობრივი სიფხიზლის კიდევ უფრო გაძახვილებლად.

კონფერენციამ ფარული ყენჭისყრით აირჩია რაიკომის პლენუმის 31 წევრი და 9 კანდიდატი, სარევიზიო კომისიის 7 წევრი და ალკკ თბილისის ორგანიზაციების საქალაქო კონფერენციის 38 დელეგატი, აქედან ერთი კაცი სათათბირო ხმის უფლებით.

საქალაქო კონფერენციის დელეგატად ერთხმად არჩეულ იქნა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. ლ. ბერია, დელეგატებად არჩეულ იქნენ აგრეთვე საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. ბაქრაძე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნები ამხ. გ. არუთინოვი და ვ. გოგეშვილი, ალკკ ც. კ-ის მდივანი ამხ. აკ. მგელაძე, საქ. კ. პ. (ბ) 26 კომისრის პარტრაიკომის მდივანი ამხ გ. გიორგობიანი, ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. შ. გუდავაძე და სხვ.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა სოციალიზმის გამარჯვების ორგანიზატორს, მსოფლიო მუშათა კლასის ბელადს დიდ სტალინს.

მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხ. ლ. ბერიას.

კონფერენცია 5 აგვისტოს დაიხურა.

კონფერენციის დახურვის დღესვე, საღამოს 10 საათზე, მოწვეულ იქნა რაიკომის ახლად არჩეული პლენუმის სხდომა. პლენუმმა ფარული კენჭისყრით რაიკომის პირველ მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. ლ. ზაქარიაშვილი, მეორე მდივნად ამხ. გ. ურჯუკიშვილი, მესამე მდივნად ამხ. ა. მურადიანი.

ივ. ყურულოვი



თბილისის ორთქლმავალ-ვაგონებას შემკეთებელი ქარხნის კომკავშირელი ამხ. გიორგი ოსიპიანი ამწყობი საამქროს მოწინავეა სტახანოველია, გეგმას ასრულებს 300 პროცენტით, მეცდინეობს სოციალისტური შრომის ოსტატთა კურსებზე. სურათზე: ამხ. გ. ოსიპიანი ჰაერტუმბოსთან.

ფოტო — „სოიუზფოტოს“ საქ. გახყ.

მთიულეთი საჭიროებს ჰიდროელსადგურს

ფასანაურში, მთიულეთის ცენტრში, მუშაობს დიზელის ძრავიანი ელსადგური, რომელიც ძალიან მოძველებულია, ყოველთვის სარემონტოა და ფასანაურსაც ვერ ანათებს; მახლობელი სოფლებისათვის ენერგიის მიწოდებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

ფასანაურის ჩრდილოეთით 0,5 კილომეტრის მანძილზე ჩამოდის მოზრდილი მდინარე ჩაბარუხი. ამ მდინარის მარჯვენა მხარეზე შეიძლება გავიყვანოთ 0,5 კილომეტრიანი არხი ე. წ. „ზასტავას“ ქედამდე; ეს ქედი შესდგება მყარი, კლდოვანი მასივისაგან და მისი ჰიდრავლური ქანობი სავსებით უზრუნველჰყოფს ჰიდროელსადგურისათვის საჭირო წყლის დაწნევას. აქვე შესაძლებელია წყლისათვის სათადარიგო რეზერვუარის მოწყობა.

ფასანაურში ჰიდროელსადგურის მშენებლობა დასაბუთებულია შემდეგი მოსაზრებებით: ჯერერთი, ფასანაური წარმოადგენს საქ. სამხედრო გზაზე საგეტომობილო და ტურისტული მოძრაობის კვანძს. ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მისი რეკონსტრუქცია, აშენდა ტურისტების სახლი, თეატრი, კოოპერატივის შენობა და მრავალი სხვა. წელს დაიწყება საავტომობილო სადგურისა და გარაჟის მშენებლობა. ამასთან დაკავშირებით ელექტროენერგიის მოთხოვნილება საგრძნობლად იზრდება. მეორე,—მთიულეთი მდიდარია ძვირფასი ჯიშების შემცველი ტყეებით, რის საფუძველზე შეიძლება აიგოს ელექტროენერგიით მომუშავე ხეტყის სახერხი ქარხანა.

მთიულეთი თბილისს დაშორებულია 100 კილომეტრით, რაც აძნელებს (განსაკუთრებით ზამთარში) ნავთის მოწოდებას. ამიტომ საყოფაცხოვრებო მოხმარებაში ელენერგიის დანერგვას აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

საჭიროა დუშეთის რაიონულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებით შეისწავლონ ეს საკითხი და იბრძოლონ ჰიდროელსადგურის აშენებისათვის.

ზრ. ყველაძე.

გამოვიყენოთ „პაპანწყვილი“ ღვინაგურისათვის

სოფელ ხელაში (ხობის რაიონი) მდებარეობს ტბა „პაპანწყვილი“ (ჩაძირული მწვდელი). „პაპანწყვილი“ ლეგენდარული ტბაა. ხალხური გადმოცემით მისი ფსკერი „უძიროა“, არსებითად კი ჯერ არავის უცდია მისი სიღრმის გაზომვა. ამ ტბის წყალი მეტად გამჭვირვალეა, ზაფხულობით არ იკლებს, მრავალი წლის განმავლობაში მისი დონე უცვლელია. ყველაზე უფრო საყურადღებო უპირატესობა, რომელიც აქვს ამ ტბას, არის ის, რომ იგი მდებარეობს მაღლობ ადგილზე, რაც დიდ შესაძლებლობას იძლევა წყლის მძლავრი დაქანებისათვის. რასაკვირველია, მარტო ბუნებრივი შესაძლებლობა საკმარისი არ არის, თუ ამ შესაძლებლობის გამოყენების შედეგი ეკონომიური თვალსაზრისითაც გამართლებული არ იქნება.

ზოგადი დაკვირვებაც კი აშკარად მეტყველებს იმას, რომ ტბას შეუძლია მოგვცეს სიმძლავრე არა ნაკლებ ერთი ათას ცხენის ძალისა.

ამ ადგილზე ელექტროსადგურის მშენებლობის პრაქტიკული მნიშვნელობა დიდია: ეს სადგური, ჯერერთი, ელენერგიას მიაწვდის 2000-ზე მეტ კომლ საკოლმეურნეო მოსახლეობას, რკინიგზის ხეთის სადგურს, ხობის რაიონის აღმასკომსა დაწვრილებით უნდა შეისწავლოს ეს საკითხი, და თავისი დასაბუთებული მოსაზრება წარუდგინოს საქ. რესპუბლიკის საგეგმო კომისიას ამ მშენებლობის მესამე ხუთწლიან გეგმაში შესატანად.

პ. კოკაისიძე

მზადება საკ. სას.-სამ. გამოფენისათვის

გამოფენისათვის მზადება დაავიწყდათ ქუთაისში

პარტიის რაიონულ კომიტეტებსა და რაიაღმასკომებს თავის დროზე მიეთითათ, რომ თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მტს-ში, ბრიგადებში, ფერმებსა და ჯგუფებში 15 ივლისამდე მოეწყოთ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტის დადგენილების განხილვა. მათვე დაევალათ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ა.-წ. 14 ივნისის დადგენილებით გათვალისწინებული მაჩვენებლების უეჭველად გადამეტებით შესრულებისათვის.

რა მდგომარეობაა ადგილებზე, ოგორია შესრულება? — აშკარად არადამაკმაყოფილებელი. მაგალითად, საგარეჯოს რაიონში (რაიმიწგანის გამგე იოსებ ჩახნაშვილი) მხოლოდ თათბირის მოწვევით და კომისიის გამოყოფით დაკმაყოფილდნენ (კომისიის თავ-რე ღ. სალუქვაძე). როგორც გამოირკვა, იმ დროს, როცა რაიონში 83 კოლმეურნეობაა, საგამოფენო კანდიდატთა სიაში შედის მხოლოდ სამი კოლმეურნეობა და ისიც შარშანდელი შერჩეული (სართიჭალის--ტელმანის სახ., ს. პატარძეულის და ს. თარაქის სტალინის სახელობისა). დანარჩენ მეურნეობებში მუშაობის გაშლას საჭიროდ არ სთვლიან.

აღსანიშნავია, რომ საგარეჯოს მტს-ის დირექტორი ალ. ონოფრეშვილი უმოქმედობას იჩენს საკ. სას.-სამ. გამოფენისათვის მზადებაში, ხოლო მტს-ის უფროსი აგრონომი ამბერკი კაკაურიძე აცხადებს: ახლა მოსავლის აღება მიმდინარეობს და გამოფენისათვის ვისა სცალიაო.

ასეთი განწყობილება შეინიშნულია მთელ რიგ სხვა რაიონებშიც. ამის შედეგად საქმე იქამდე მივიდა, რომ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში დღემდე ჩაბმული არ არის საგარეჯოს, ყვარლის, გურჯაანის, თელავის, სიღნაღისა და ლაგოდეხის თითქმის არცერთი მტს-ი, არცერთი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმა, ბრიგადა და ჯგუფი, ჩაბმული არ არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში.

კოლმეურნეობათა შეჯიბრება

ბორჯომის რაიონის ჰობისხევის კოლმეურნეობის საერთო კრებაზე, რომელსაც 200 ჭალი და კაცი დაესწრო, დაამუშავეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, სრულიად საკავშირო სას.-სამ. გამოფენის შესახებ.

კოლმეურნეობამ გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის აიღო მთელი რიგი ვალდებულებანი, კერძოდ ვალდებულებათავის დროზე და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, ჰექტარზე მარცვლეულის საშუალო მოსავალი აიყვანონ 16 ცენტნერამდე, დანაკარგებთან საბრძოლველად ფართოდ გამოიყენონ ქალთა და მოზარდთა შრომა, გვალვასთან ბრძოლის მიზნით დამატებით გაიყვანონ 1,5 კილომეტრის სიგრძის არხი და მორწყონ ნათესები, ცალკე აიღონ და შეინახონ სათესლე ნაკვეთების ხორბლეული, ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულონ საშემოდგომო ხვნა-თესვა, შემოდგომის ნათესების გასაპობიერებლად გაიტანონ 200 ტონა ნაკელი.

გარდა ამისა, კოლმეურნეობამ იკისრა 1938 წელს მარცვლეულის მოსავალი ჰექტარზე საშუალოდ აიყვანოს 18 ცენტნერამდე, ხარისხობრივად და დროზე დაამთავროს საზაფხულო კულტურების თესვა, სიმინდი გათოხნოს 3-ჯერ, ხოლო სათესლე ნაკვეთებზე 4-ჯერ, საუკეთესოდ აიღოს და დააბინავოს მოსავალი.

აღნიშნულ ვალდებულებათა შესრულებისათვის ჰობისხევის კოლმეურნეობაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ბრიგადებს შორის: გ. ლომსაძის ბრიგადამ შეჯიბრებაში გამოიწვია ვ. ოჭროპირაძის ბრიგადა, პ. სამსონიშვილის ბრიგადამ ვ. თვარაძის ბრიგადა და სხვ.

თვით კოლმეურნეობამ აღნიშნულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისა და საკავშირო სას.-სამ. გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის სოციალისტური შეჯიბრებაში გამოიწვია საკოლმეურნეობა. ამ უკანასკნელმაც მიიღო გამოწვევა და თავის მხრივ დამატებით აიღო მთელი რიგი ვალდებულებანი.

კოლმეურნეობებმა ერთი წუთითაც არ უნდა შეანელონ ბრძოლა აღნიშნულ ვალდებულებათა განაღდებისათვის, ახალახალ გამარჯვებათათვის. ბორჯომის რაიმიწგანს კი ევალება სისტემატურად შეამოწმოს აღებულ ვალდებულებათა შესრულება, მიიღოს გადამჭრელი ზომები ჩამორჩენათა დასაძლევად, საუკეთესო მიღწევებისათვის.

ტ. ჩიქოვანი

ნ. რუბინი და ი. სერებროვი

სსრ კავშირში ფაშისტური დაზვერვათა ძირგამომთხრელი საქმიანობისა და მასთან ბრძოლის ამოცანების შესახებ *

ცნობილია ფაქტი ჯაშუშის გამოჭედებისა კომკავშირელ მეცნიერ მუშაკის მ-ს მიერ.

ამხ. მ., ერთი სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტის ლაბორატორიის თანამშრომელი, სამუშაოზე რომ მივიდა, მას იქ არ დახვდა თავისი უშუალო ხელმძღვანელი ტ. რამდენიმე ხნის შეგვიანების შემდეგ ტ. მოვიდა.

ამხ. მ-მ მიაქცია ყურადღება, რომ ტ. აღელვებული იყო.

ოცდაათიოდე წუთის შემდეგ ტ-მ წინადადება მისცა ამხ. მ-ს წაელო საწყობში მასალის მოთხოვნის ქაღალდი. მ-ს არ ეცალა და უნდოდა წასულიყო საწყობში უფრო გვიან, მით უმეტეს, რომ მოთხოვნა სასწრაფო არ იყო. მაგრამ ტ. დაჟინებით მოითხოვდა დაუყოვნებლივ შეესრულებინა მისი დავალება.

ეს დაჟინება ამხ. მ-ს საეჭვოდ ეჩვენა. ტ-ს დავალების შესასრულებლად ის გავიდა ლაბორატორიიდან, მაგრამ გადასწყვიტა ერთი წუთის შემდეგ დაბრუნებულიყო და ენახა, თუ რას აკეთებდა ტ.

ლაბორატორიის კარი რომ შეაღო, ამხ. მ-მ დაინახა, რომ ტ. დგას გაღებულ ცეცხლგამძლე კარადასთან და იქ რაღაც დოკუმენტებს სდებს. კარის გაღების ხმაურობა რომ გაიგონა, ტ. მობრუნდა და, თავისდაუშეუჩნევლად, მას ერთერთი ქაღალდი იატაკზე დაუვარდა. მ-მ არ შეიჩნია, რომ დაინახა დავარდნილი ქაღალდი, და შემდეგ აიღო იგი. ქაღალდი საიდუმლო დოკუმენტი აღმოჩნდა. ამხ. მ-მ შეატყობინა თავისი ეჭვების შესახებ. გამოძიებამ ცხადყო, რომ ტ. — უცხოეთის დაზვერვის აგენტი — სამუშაოდან წასვლის წინ სისტემატურად იღებდა ცეცხლგამძლე კარადიდან საიდუმლო დოკუმენტებს, სახლში იღებდა მათ ფოტოსურათებს, ხოლო დილით შეუმჩნევლად ისევ სდებდა ცეცხლგამძლე კარადაში. ჯაშუში ასე იქცა გამომძღვანებულ კომკავშირელის სიფხიზლის მეოხებით.

კიდევ უფრო ნათელ მაგალითს წარმოადგენს გამომჟღავნება ჯაშუშებისა და დივერსანტებისა — იაპონია-გერმანიის დაზვერვის აგენტებისა, რომლებიც ორჯონიკიძის რკინიგზაზე მოქმედებდნენ.

ეს ბრბო, უცხოურ დაზვერვათა პირდაპირი დავალებით, ამზადებდა დივერსიებს, ტერორისტულ აქტებს, მატარებლების კატასტროფებს, უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო ნაგებობათა, საწყობების და სხვ. აფეთქებასა და ცეცხლწაკიდებას.

1936 წლის შემოდგომაზე ბანდიტებმა განიზრახეს მოეწყოთ კატასტროფა ჩჭარი მატარებლისა, რომლითაც ამხ. სერგო ორჯონიკიძე მიდიოდა.

ბოროტმოქმედების მოსამზადებლად დივერსანტებს სჭირდებოდათ თავისი კაცი დეპოში.

ბრბოს მეთაურმა — ნაცადმა იაპონელმა ჯაშუშმა, რომელიც რკინიგზაზე მოეწყო დაღებულობდა ინსტრუქციებს იაპონიის დაზვერვისაგან იაპონიიდან არალეგალურად ჩამოსული თეთრგვარდიელი ოფიცრის საშუალებით, — გადასწყვიტა გადაებირებინა ბრბოში და დივერსიების მოსახდენად მიეზიდნა დეპოს ზეშა რ. მაგრამ ბანდიტმა სასტიკად მტყუედა ანგარიშში. რ-მ მოისმინა ჯაშუშის საზიზღარი შეგონებანი და, ბრბო რომ არ გაეფრთხო, დაჰპირდა, რომ „იფიქრებდა“ მის წინადადებაზე. საუბრის დამთავრებისთანავე რ-მ — საბჭოთა ხალხის მძულვარების ობიექტი — ამცნო ბანდიტებს, რომ ისინი ჯაშუშებს ეჭირათ ხელში და ისინი ყველანი ციხეში აღმოჩნდებოდნენ.

ბანდიტებმა შეიპყრეს ჯაშუში, მაგრამ ის მალე გაიქცა. ბანდიტებმა ვერ მოახერხეს მისი ხელახლა დაჭერა.

ჯაშუშის ასეთი ბედი ელოდა ყველა იმ ჯაშუშს, რომელიც ცდილობდა ჩაეჭიდა ჩვენში ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ძაფი.

ჯაშუშის



ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ



ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ